ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №4985977

ნომერი: AR1753889

თარიღი : 14.06.2020

გაცემის თარიღი : 15.06.2020

გაცნობის თარიღი : 23.06.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ქეთევან წამებული , N 54;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნატო გოგბერაშვილი პ/ნ 18001038145
- თბილისი პაატა ჯანელიძის ქ.59

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება კორექტირება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1. ვინაიდან აღნიშნულ ფართზე სარეკლამო აბრაზე არ გაცემულა ნებართვა, შესაბამისად ნომენკლატურაში "კორექტირების" ნაცვლად უნდა აირჩიოთ "ახალი მშენებლობა", რისთვისაც გეხსნებათ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკი

2. განცხადებაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ საპროექტო სამუშაოებით დაინტერესებულია შპს ნაპო-ნატო, ფართის მესაკუთრის თანხმობა მისაღებია, საჭიროა წარმოდგენილ იქნეს შპს ნაპო-ნატოს უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი საპროექტო ფართის მიმართ (იჯარა, ქირავნობა, აღნაგობა და ა.შ) ან რაიმე სხვა უფლების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი (საჭიროების შემთხვევაში საჯარო რეესტრში რეგისტრირებული). გაითვალისწინეთ, რომ საჯარო რეესტრის შესახებ კანონის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, 1 წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება საჭიროებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. თუ დაგეგმილი სამუშაოებით ეხებით სხვის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ ფართს წარმოდგენილ იქნეს ყველა ასეთი პირის სათანადო წესით დამოწმებული თანხმობები. გაითვალისწიენთ, რომ ფიზიკური პირის შემთხვევაში ხელმოწერა დამოწმებული უნდა იყოს სანოტარო წესით იურიდიული პირის შემთხვევაში ასევე შესაძლებელი, წარმოდგენილ იქნეს ორგანიზაციის ბეჭდით ან ორგანიზაციის ტიტულოვან ფურცელზე შედგენილი. თუ არ ეხება განმარტოს.

3. ფოტომონტაჟზე დაიტანეთ სარეკლამო აბრის ყველა გაბარიტული ზომა.

თქვენ გეძლევათ 30 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.